



## საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2590 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძალაში შესვლამდე ქალაქ გორის ცენტრალური ნაწილის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული დროებითი შეზღუდვების დაწესების შესახებ

1. „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 23-ე მუხლის 5<sup>1</sup> და 5<sup>2</sup> პუნქტების საფუძველზე, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძალაში შესვლამდე, დანართ №1-ით განსაზღვრული რუკის შესაბამისად, ქალაქ გორის ცენტრალური ნაწილის ტერიტორიაზე დაწესდეს მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული დროებითი შეზღუდვები, დანართი №2-ის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად, დანართ №2-ით დადგენილი შეზღუდვები არ ვრცელდება ამ განკარგულების ძალაში შესვლამდე გაცემულ ნებართვებზე.

3. განკარგულება ძალაშია ქალაქ გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძალაში შესვლამდე.

პრემიერ-მინისტრი



მამუკა ბახტაძე



**მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძალაში შესვლამდე, ქალაქ გორის ცენტრალური ნაწილის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული დაწესებული დროებითი შეზღუდვები**

1. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძალაში შესვლამდე, ქალაქ გორის ცენტრალური ნაწილის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული დროებითი შეზღუდვების მოქმედების პერიოდში, ამ განკარგულების დანართი №1-ით განსაზღვრული რუკის შესაბამისად, ქალაქ გორის ცენტრალური ნაწილის ტერიტორიაზე აიკრძალოს ნებისმიერი სახის სამუშაოები გარდა:

ა) „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოებისა;

ბ) „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-15 მუხლით განსაზღვრული ხაზობრივი ნაგებობების რეაბილიტაციისა და მშენებლობისა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ემსახურება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უკვე განაშენიანებული ტერიტორიების (მიწის ნაკვეთები) კომუნიკაციებით უზრუნველყოფას;

გ) „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამუშაოებისა;

დ) იმ სამუშაოებისა, რომლებიც ხორციელდება ობიექტებზე, რომელთა მშენებლობა ხორციელდება ჩამოყალიბებული ქალაქთმშენებლობითი გარემოს ცვლილებების გარეშე, შეესაბამება იმ უბნის, კვარტალისა და ქუჩის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტიპს, რომელშიც მდებარეობს, ორგანულად ეწერება განაშენიანების ტრადიციულ ფორმებში, არ უპირისპირდება ისტორიული განაშენიანების არსებულ პარამეტრებს, მორფოლოგიასა და მასშტაბებს და ესადაგება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამუშაოების ჩამონათვალს.

2. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძალაში შესვლამდე, ქალაქ გორის ცენტრალური ნაწილის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული დროებითი შეზღუდვების მოქმედების პერიოდში ამ განკარგულების დანართი №1-ით განსაზღვრული რუკის შესაბამისად, ქალაქ გორის ცენტრალური ნაწილის ტერიტორიაზე აიკრძალოს:

ა) ქუჩების ქსელის ცვლილება;

ბ) რელიეფის ნიშნულების არსებითი ცვლილება;

გ) გაუნაშენიანებელი ტერიტორიის განაშენიანება;

დ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების დაყოფა/გაერთიანება, გასხვისება, აღნაგობის უფლებით გაცემა;

ე) დაურიგისტრირებელი მიწის ნაკვეთების განვითარება.